

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

(2024/2025-2030/2031 აკადემიური წლები)

შესავალი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შემდგომში 'უნივერსიტეტი') 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც ამჟამად სწავლების სამივე საფეხურზე ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 5 სკოლა, ენებისა და კვლევითი ცენტრები: 1. ბიზნესის სკოლა (BSB); 2. მედიცინის სკოლა (BSM); 3. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (BSS); 4. კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლა (BSI); 5. სამართლისა და სახელმწიფო მართვის სკოლა (BSL).

უნივერსიტეტში მოქმედებს 41 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, აქედან 26 ინგლისურენოვანი, ხოლო 15 ქართულენოვანი პროგრამა; აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 24 მარტს, ASIIN საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა მენეჯმენტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. (მონაცემები დათვლილია 2024 წლის 15 მარტს).

უნივერსიტეტი სთავაზობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობას, ითვალისწინებს და საქმიანობს სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის.

სასწავლო პროცესი და გაცვლითი პროგრამები

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სთავაზობს ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს ხარისხიან უმაღლეს განათლებას. უნივერსიტეტში შექმნილია საერთაშორისო, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო და სამეცნიერო გარემო. სწავლის მაღალ დონეს განაპირობებენ ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური პროფესორები,

ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისთვის.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სწავლების თანამედროვე მეთოდებით და ეფუძნება უახლეს ტექნოლოგიებს. სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია თანამედროვე ტექნოლოგიების როლი და მისი გავლენა დასაქმების ბაზარზე, ასევე ამ მიმართულებით ანალიტიკური აზროვნების, გუნდური მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვისა და პრიორიტეტების განსაზღვრის უნარების საჭიროება. საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე. პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს არაერთ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, საელჩოებთან; სტუდენტები პრაქტიკას გადიან მათი სპეციალობის შესაბამისად.

სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის კუთხით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის, აზიისა და ამერიკის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვთ, განვითარდნენ პროფესიულად და მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება.

კვლევები, პროექტები და საერთაშორისო თანამშრომლობა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ორიენტირებულია კვლევითი საქმიანობის გაძლიერებაზე და ინტერნაციონალიზაციაზე, სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვაზე და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებაზე. უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრები მიზნად ისახვენ კვლევების შედეგების დანერგვას სწავლის პროცესში და კვლევის ხელშეწყობას. წახალისებულია აკადემიური და აფილირებული პერსონალის ინიციატივები.

უნივერსიტეტი გამოსცემს ქართულ და ინგლისურენოვან სამეცნიერო რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები დაკომპლექტებულია საერთაშორისო დონეზე აღიარებული დარგის სპეციალისტებითა და მკვლევარებით. უნივერსიტეტში ასევე გამოიცემა ინგლისურენოვანი სტუდენტური ჟურნალი.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება მასშტაბური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით. კონფერენციებში მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო დონეზე აღიარებული დარგის წამყვანი სპეციალისტები.

უნივერსიტეტი ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში (კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF), ERASMUS + HERD) და არის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის არაერთი სამეცნიერო გრანტის ბენეფიციარი და გამარჯვებული. გარდა ამისა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის 'Magna Charta Consorciium'-ის წევრი და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) პლატფორმის წევრი.

უნივერსიტეტში სასწავლო-აკადემიური გარემოს ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ხელმისაწვდომია ბეჭდური, ციფრული მასალები, ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, ელექტრონული რესურსები და მუდმივად განახლებადი სასწავლო ლიტერატურა.

სტუდენტური სერვისები

ხარისხიანი უმაღლესი განათლების გარდა, უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებაზე და სერვისების განვითარებაზე. ამავე მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების წახალისებას და ითვალისწინებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, დაესწრონ მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, ტრენინგებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში, იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებითა და მუდმივად განახლებადი მატერიალურ-ელექტრონული რესურსით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების სტუდენტური კლუბები, სადაც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებში.

ორგანიზაციული სტრუქტურა

უნივერსიტეტს აქვს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტების, ამოცანებისა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სტრუქტურის თანამშრომელთა მიზანია, ხელი შეუწყონ სკოლების, სტრუქტურული ერთეულების ეფექტურ და უწყვეტ საქმიანობას. უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, დაწეროს ეფექტური, გუნდური, გამჭვირვალე, კოორდინირებული სამუშაო, სასწავლო და აკადემიური გარემო, ამავდროულად უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი თავდაპირველად დაიწყო 2017-2018 აკადემიურ წელს, ხოლო განახლდა 2023-2024 აკადემიურ წელს. განახლების პროცესს ხელმძღვანელობდა პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში სტრატეგიული განვითარების სამსახურთან ერთად.

უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იყო გუნდური მუშაობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. პროცესი მოიცავდა რიგ აქტივობებს: ა) სტრატეგიული დაგეგმვისთვის დაინტერესებული მხარეების ჩართვას და მონაწილეობას; ბ) ხედვის, მისიის და ღირებულებების პროექტის შემუშავება/დამტკიცებას, რომელიც მოიცავდა სამიზნე ჯგუფებისთვის კითხვარების შედგენას და უნივერსიტეტის შესახებ ხედვის, მისიის და ღირებულებების შესახებ შეხედულებების განსაზღვრას; გ) არსებული სიტუაციის 'SWOT' ანალიზი, რომელიც ეხებოდა SWOT კითხვარების შედგენას სამიზნე ჯგუფებისთვის, დამატებით შეხვედრებს, უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების შესწავლასა და შეფასებას, აგრეთვე ძლიერ და სუსტ მხარეებს, არსებულ რისკებსა და შესაძლებლობებს. დ) ინსტიტუციური კვლევა (რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/სკოლების საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს); ე) დამატებითი საკითხების, მიღებული შედეგების განხილვა ხდებოდა მმართველ საბჭოზე, რის შედეგადაც განისაზღვრა უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტები, ამოცანები, საზომი ინდიკატორები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და სკოლები.

2024-2031 აკადემიური წლების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ეტაპები:

- პრორექტორების მონაწილეობა სტრატეგიულ დაგეგმვაში
- ხედვის, მისიის და ღირებულებების განაცხადის განსაზღვრა/მოდულიზაცია
- შიდა ფაქტორების ანალიზი (SWOT – SW-ის ნაწილი)
- გარე ფაქტორების ანალიზი (SWOT – OT-ის ნაწილი)
- სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა
- სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრა
- თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის საზომი ინდიკატორების (KPI) განსაზღვრა და ნიშნულების დადგენა
- სტრატეგიული გეგმის შექმნა
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება
- თითოეული სტრატეგიული ამოცანის შესრულებისთვის სტრუქტურული ერთეულის მიერ აქტივობების განსაზღვრა სამწლიან პერიოდში
- სამწლიანი სამოქმედო გეგმის განსაზღვრა და დამტკიცება
- შვიდწლიანი სტრატეგიული და სამწლიანი სამოქმედო გეგმების განხორციელება
- გეგმების მონიტორინგი, შეფასება, განახლება და საჭიროებისამებრ მოდიფიცირება

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და სტრატეგიული გეგმის განახლებაში ჩართულია უნივერსიტეტის პრორექტორები და დაინტერესებული მხარეები. პრორექტორები წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში
- ✓ პრორექტორი კვლევის დარგში
- ✓ პრორექტორი ხარისხის დარგში
- ✓ პრორექტორი სასწავლო დარგში
- ✓ პრორექტორი ფინანსურ დარგში

გარდა ამისა, შემდეგი სტრუქტურული ერთეულები და სკოლები აქტიურად მონაწილეობდნენ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, კერძოდ:

- ✓ სტრატეგიული განვითარების სამსახური
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
- ✓ ფინანსური დეპარტამენტი
- ✓ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტი
- ✓ კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახური
- ✓ კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახური
- ✓ ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური
- ✓ საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
- ✓ მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
- ✓ სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახური
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური
- ✓ მედიცინის სკოლა
- ✓ ბიზნესის სკოლა
- ✓ განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლა
- ✓ სამართლისა და სახელმწიფო მართვის სკოლა
- ✓ კომპიუტერული მეცნიერებებისა და არქიტექტურის სკოლა

2024-2031 წლებისათვის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელდა გუნდურ, გამჭვირვალე პროცესებსა და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით (ადმინისტრაცია, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი), რაც მნიშვნელოვანი საფუძველია უნივერსიტეტის სწორი სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრისა და განვითარებისთვის.

სტრატეგიული განვითარების სამსახურმა შეიმუშავა კითხვარები სამიზნე ჯგუფებისთვის, გამართა შეხვედრები და ონლაინ გამოკითხვები. შედეგების განხილვა და შეფასება ხდებოდა როგორც პრორექტორებთან ერთად სამუშაო შეხვედრების ფორმატში, ასევე მმართველი საბჭოს სხდომებზე მმართველი საბჭოს წევრებთან ერთად.

სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსმა სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსია გააცნო დაინტერესებულ პირებს/ჯგუფებს და შეხვედრებზე მიიღო ინფორმაციული უკუკავშირი. სამსახურმა საბოლოო სახით ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის განხილვაც მოხდა მმართველ საბჭოზე და შემდეგ დამტკიცდა დამფუძნებელთა კრებაზე.

შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სტრატეგიული განვითარების სამსახურმა შესაბამის ძირითად შემსრულებელ ერთეულებთან/სკოლებთან ერთად შეიმუშავა 3-წლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმების მიხედვით, სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი ყოველწლიური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, წელიწადში ერთხელ გადახედავს სამოქმედო გეგმას და საჭიროებისამებრ, შესაბამის ერთეულებთან ერთად შეიტანს ცვლილებებს სამოქმედო გეგმაში. ამასთანავე, სამსახური პერიოდულად უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შეფასებას, შესაბამისი ანგარიშების მომზადებასა და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების პროექტის მომზადებას.

ხედვა, მისია და ღირებულებების განსაზღვრა

სტრატეგიული განვითარების სამსახურმა უნივერსიტეტის ხედვის, მისიის, და ღირებულებების შესახებ შეხედულებების ჩამოყალიბებისა და განსაზღვრის მიზნით შეადგინა კითხვარები სამიზნე ჯგუფებისთვის, ჩაატარა ონლაინ გამოკითხვები და დაგეგმა შეხვედრები.

მიღებული შედეგების საფუძველზე განისაზღვრა უნივერსიტეტის ხედვის, მისიის და ღირებულებების შესახებ შეხედულებები, რომლის განხილვაც მოხდა უნივერსიტეტის პრორექტორებთან ერთად, ჩამოყალიბდა საბოლოო სახით და შემდგომ დამტკიცდა მმართველ საბჭოზე.

უნივერსიტეტის ხედვის, მისიის და ღირებულებების განაცხადი გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან.

არსებული სიტუაციის 'SWOT' ანალიზი

2023-2024 აკადემიურ წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისთვის შემუშავდა 'SWOT' კითხვარები სამიზნე ჯგუფების მიხედვით და დაიგეგმა მათთან შეხვედრები. კითხვარებში მონაწილეობა მიიღეს—დაინტერესებულმა მხარეებმა, კერძოდ სტუდენტებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა, უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, სკოლებმა და პრორექტორებმა. 'SWOT' ანალიზის

მიზანი იყო არსებული სიტუაციის შესწავლა, უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების დაჯგუფება და გაანალიზება.

სტრატეგიული განვითარების სამსახურმა თავდაპირველად SWOT კითხვარები შეამოწმა საპილოტე რეჟიმით და შემდეგ გაიგზავნა დაინტერესებულ მხარეებთან: 1. სკოლები; 2. აკადემიური პერსონალი; 3. მოწვეული პერსონალი; 4. ადმინისტრაციული პერსონალი - სტრუქტურული ერთეულები ; 5. სტუდენტები; 6. დამსაქმებლები; 7. კურსდამთავრებულები.

სტრატეგიული განვითარების სამსახურმა დაამუშავა დაინტერესებული მხარეების მიერ შევსებული კითხვარები, შეისწავლა და შეაფასა მიღებული შედეგები. მმართველ საბჭოზე განხილვის შემდგომ უნივერსიტეტმა განსაზღვრა ძირითადი შიდა და გარე ფაქტორები, რომელიც ჩამოწერილია ქვემოთ.

შიდა ფაქტორები - ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი მხარე:

- სწავლების მაღალი ხარისხი
- მრავალფეროვანი ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები
- სტუდენტზე ორიენტირებულობა
- განათლების ხარისხის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა
- სწავლა-სწავლებასა და კვლევაზე მორგებული გარემო
- აკადემიური თავისუფლება და ღირებულებები
- კვლევის მხარდაჭერა
- პროგრესული აკადემიური გარემო
- უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრები
- საერთაშორისო გარემო
- კვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის განვითარების ხელშეწყობა
- გამჭვირვალე, მონაწილეობითი, განვითარებაზე ორიენტირებული მენეჯმენტის მიდგომები
- გუნდურობა და დადებითი ურთიერთდამოკიდებულება სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის
- ბრენდის იმიჯი/ცნობადობა
- კურსდამთავრებულთა დასაქმება

- თანამშრომლობა ორგანიზაციებთან, საელჩოებთან და სხვა პარტნიორებთან.

სუსტი მხარე:

- მოძველებული ტექნიკური რესურსები
- სასწავლო და საგამოცდო პროცესის მონიტორინგის პროცედურები
- საბაკალავრო საფეხურზე კვლევითი პროცესების მრავალფეროვნების არ არსებობა სტუდენტებისთვის
- ლექტორებისთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცის განვითარების საჭიროება
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ნაკლები ინტენსივობა ზოგიერთი მიმართულებით (საერთაშორისო პარტნიორები, ერასმუს+ პროგრამების სიმცირე, საერთაშორისო აკრედიტაცია, საერთაშორისო პროექტები)
- კვებითი ობიექტების სიმცირე
- პიარ კამპანიების ნაკლებობა

გარე ფაქტორები - შესაძლებლობები და საფრთხეები

შესაძლებლობები:

- უცხოელი სტუდენტების დაინტერესება ქვეყანაში სწავლით
- ინოვაციური მეთოდების დანერგვა თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად
- ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი პროექტების მეტი რაოდენობა
- საერთაშორისო კომპანიების ქვეყნით დაინტერესება და მათი რაოდენობის ზრდა
- უცხოელი პროფესორების დაინტერესება ქვეყანაში სწავლებით, თანამშრომლობით
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლება
- საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების დაინტერესება ადგილობრივი ბაზრით და ადგილობრივ უსდ-ებთან თანამშრომლობით

საფრთხეები:

- კონკურენციის ზრდა
- ხელოვნური ინტელექტი
- განათლების ალტერნატიული საშუალებების მრავალფეროვნება

- განათლების სისტემაში საკანონმდებლო ცვლილებები
- მსყიდველუნარიანობის შემცირება
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუარესება
- პოლიტიკური ვითარება
- გრანტების სიმცირე
- ცვლილებები შრომით ბაზარზე
- აბიტურიენტების რაოდენობის შემცირება

არსებული სიტუაციის ‘SWOT’ ანალიზის შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების, ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასების მიხედვით განისაზღვრა უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული პრიორიტეტები.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვის, მისიის და ღირებულებების განაცხადი

ხედვა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხედვაა, შექმნას მრავალფეროვნებასა და თანასწორუფლებიანობაზე დაფუძნებული ხარისხიანი, ინოვაციური, საერთაშორისო, თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო გარემო, რომელიც უნივერსიტეტს მოუტანს ადგილობრივ და საერთაშორისო აღიარებას.

მისია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა სწავლა-სწავლების და კვლევის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული უმაღლესი განათლების შეთავაზება, რომლის შედეგადაც ამზადებს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამის კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, დემოკრატიული ფასეულობების მქონე თაობას.

ღირებულებები

1. **აკადემიური თავისუფლება** - ქმნის თავისუფალ აკადემიურ გარემოს, ხელს უწყობს კვლევას, აკადემიური გამოცდილების გაზიარებასა და სწავლებაში გამოყენებას.
2. **ინკლუზიურობა** - პატივს სცემს თითოეული ადამიანის, როგორც ინდივიდის, უნიკალურ შესაძლებლობებსა და ფასეულობებს, ქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისთვის, სადაც განათლება ყველასათვის განურჩევლად და თანაბრად ხელმისაწვდომია.
3. **თანასწორუფლებიანობა და მრავალფეროვნება** - პატივს სცემს ადამიანთა უფლებებს, ღირებულებებს, მათ შორის აფასებს ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ, საერთაშორისო ცნობიერების სხვადასხვაობას, ქმნის თანასწორუფლებიან გარემოს და პროცესებს; სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს-ქართულ და ინგლისურ ენებზე, უცხო ენების სწავლების შესაძლებლობით.
4. **გამჭვირვალობა** - ორიენტირებულია შექმნას ეფექტური მმართველობა, გუნდური, სამართლიანი და გამჭვირვალე გარემო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის, ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, მათ ინფორმირებულობასა და ურთიერთპატივისცემას, იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმებს.
5. **ინოვაცია** - ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ორიენტირებულია სასწავლო, სამეცნიერო სიახლეების, თანამედროვე მეთოდების, ახალი მიდგომების დანერგვასა და ინტერნაციონალიზაციაზე.
6. **მდგრადი განვითარება** - უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას და ითვალისწინებს მდგრადი განვითარების მიზნებს.
7. **სოციალური პასუხისმგებლობა** - პატივს სცემს დემოკრატიულ და ეთიკურ პრინციპებს, წვლილი შეაქვს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში, სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოების საჭიროებებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის გათვალისწინებით.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საქმიანობს საქართველოს კანონმდებლობის, წესდებისა და უნივერსიტეტის დებულების საფუძველზე. უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, შესაბამისად, კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიზანია, მოამზადოს დემოკრატიული და ეთიკური ფასეულობების მქონე კონკურენტუნარიანი კადრები, საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში და ცოდნის გაზიარებაში; სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას, მდგრადი განვითარების მიზნებსა და ქვეყნის განვითარებას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ხარისხიანი, ინოვაციური და თანამედროვე უმაღლესი განათლების შეთავაზებას მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანით. უნივერსიტეტი ითვალისწინებს რა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, აახლებს სასწავლო პროგრამებსა და ლიტერატურას. სწავლა-სწავლებისა და კვლევის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს თანამედროვე მეთოდების, ინოვაციების დანერგვას სასწავლო პროცესში და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფას. სასწავლო და აკადემიური გარემოს გაძლიერების მიზნით უნივერსიტეტი აუმჯობესებს აკადემიურ-სამეცნიერო რესურსს და ზრუნავს აკადემიური პერსონალის განვითარებაზე, ხელს უწყობს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ინკლუზიური, თანასწორუფლებიანი, საერთაშორისო სასწავლო გარემოს შექმნას.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2024/2025 – 2030/2031 აკადემიური წლების პერიოდს. უნივერსიტეტი მუდმივად აახლებს სტრატეგიული განვითარების გეგმას, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან, ცვალებად გარემოსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სტრატეგიული პრიორიტეტები

განისაზღვრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, რომლის მიხედვითაც იმოქმედებს უნივერსიტეტი მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. კერძოდ:

1. განათლების ხარისხის მუდმივი განვითარება
2. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების გაძლიერება
3. ინტერნაციონალიზაცია

უნივერსიტეტმა აირჩია 4 ნიშნული მოცემული სტრატეგიული მიმართულებების მისაღწევად, ესენია მომხმარებლის ნიშნული (C), პროცესების ნიშნული (P), რესურსების ნიშნული (R) და ფინანსური ნიშნული (F).

აღნიშნული ოთხი სტრატეგიული მიმართულების გაძლიერებისთვის უნივერსიტეტმა აირჩია შესაბამისი ამოცანები, რომ მოხდეს სტრატეგიული მიმართულებების, ამოცანებისა და უნივერსიტეტის საქმიანობის თანხვედრა.

საუნივერსიტეტო დონეზე სტრატეგიული მიზნები

(C) მომხმარებლის ნიშნულის სტრატეგიული მიზნებია:

1. (C1) სტუდენტების რაოდენობის ზრდა

მიზანი C1-ის, სტუდენტების რაოდენობის ზრდა - ფარგლებში ძირითადი შემსრულებელია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი და სკოლა. მოცემული ამოცანის KPI განსაზღვრულია ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, საბაკალავრო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი, სამაგისტრო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი, სადოქტორო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი და საანგარიშო აკადემიურ წელს აქტიური სტუდენტების რაოდენობა.

C1 ამოცანის ფარგლებში KPI მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია სტუდენტთა მომსახურებისა და რეესტრის სამსახური.

პირველი ინდიკატორის, რომელიც მოიაზრებს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას, მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე და 7 წლის სამიზნე

ნიშნულში გათვალისწინებულია 8000-იანი კვოტის სრულად ათვისება. მიმდინარე მაჩვენებლით სტუდენტთა რაოდენობა არის 2891.

შემდეგი KPI, საბაკალავრო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი - მონაცემთა შეგროვება ხდება პროგრამების დონეზე. 7 წლის განმავლობაში დაგეგმილია, რომ პირველი შემოხაზვის რაოდენობა არანაკლებ 10%-ით აღემატებოდეს წინა წლის პირველი შემოხაზვის რაოდენობას. მიმდინარე მაჩვენებლის დათვლა განხორციელდება 2024 წლის მარტის თვიდან.

შემდეგი KPI, საბაკალავრო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი პროგრამების დონეზე. მონაცემების შეგროვება ხდება პროგრამების დონეზე. 7 წლის სამიზნე ნიშნულია, რომ საბაკალავრო დონეზე გამოცხადებული პროგრამების ჭრილში კონკურსის მაჩვენებელი უნდა იყოს არანაკლებ 10%-ისა (ზემოთ დამრგვალებით). ვინაიდან სიახლეა, მიმდინარე მაჩვენებლის დათვლა არ განხორციელებულა.

შემდეგი KPI, სამაგისტრო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი - მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე. 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია, რომ აპლიკაციების რაოდენობა არანაკლებ 10%-ით აღემატება წინა წლის აპლიკაციები რაოდენობას. მიმდინარე მაჩვენებლის თანახმად სამაგისტრო საფეხურზე კონკურსი არ ფიქსირდება.

შემდეგი KPI, სამაგისტრო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი - მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე. 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია, რომ გამოცხადებული სამაგისტრო პროგრამების 10%-ში (ზემოთ დამრგვალებით) უნდა იყოს აპლიკაციების რაოდენობა 10%-ით მეტი. ვინაიდან სიახლეა, მიმდინარე მაჩვენებლის დათვლა არ განხორციელებულა.

მოცემული ამოცანის შემდგომი KPI-ის, სადოქტორო საფეხურზე კონკურსის მაჩვენებელი, მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს ასევე საუნივერსიტეტო დონეზე, აპლიკანტის რაოდენობასა და გამოცხადებულ ადგილებზე ფოკუსირებით. 7 წლის სამიზნე ნიშნულში დაგეგმილია, რომ აპლიკანტების რაოდენობა 5%-ით უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული ადგილების რაოდენობას. მიმდინარე მაჩვენებელთან მიმართებით უნივერსიტეტში შესაბამისი მონაცემების დათვლა არ ხდებოდა.

შემდგომი ინდიკატორის, საანგარიშო აკადემიურ წელს აქტიური სტუდენტების რაოდენობა, მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს პროგრამის დონეზე, 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია არანაკლებ 75% და მიმდინარე მაჩვენებლის

მიხედვით 1129 სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, 3020 კი აქტიური. შესაბამისად 27% აქვს სტატუსი შეჩერებული, 73%-ს კი აქტიური.

2. (C2) ხარისხის მაძიებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა

სტრატეგიული მიზანი C2, რომელიც გულისხმობს ხარისხის მაძიებელი უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდას, ძირითადი შემსრულებელი ერთეულებია სკოლა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. KPI -ის მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია სტუდენტთა მომსახურებისა და რეესტრის სამსახური.

ამოცანის მთავარ ინდიკატორად მოაზრებულია, რომ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მედიცინის პროგრამაზე უნდა იყოს არანაკლებ 27%-ისა ჯამური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. აღნიშნული KPI -ის მონაცემების შეგროვება ხდება პროგრამის დონეზე. 7 წლის სამიზნე ნიშნულია არანაკლებ 90%, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, ჯამური სამედიცინო პროგრამის სტუდენტების რაოდენობიდან.

მეორე ინდიკატორია დანარჩენი უცხოელი სტუდენტების რაოდენობა. აღნიშნული KPI ითვლება საუნივერსიტეტო დონეზე. 7 წლის სამიზნე ნიშნული გულისხმობს, რომ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა არ უნდა იყოს 4%-ზე ნაკლები ჯამური სტუდენტების რაოდენობიდან, ამასთან აღსანიშნავია რომ მიმდინარე მაჩვენებელია 4%.

3. (C3) გაცვლითი პროგრამებით სტუდენტების მობილობის ზრდა

სტრატეგიული მიზანი C3-ის შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულია საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. მოცემული სტრატეგიული ამოცანის მთავარ ინდიკატორებად აღებულია საანგარიშო პერიოდში გაცვლითი პროგრამებით შემოსული სტუდენტების წილი და საანგარიშო პერიოდში გაცვლითი პროგრამებით გასული სტუდენტების წილი. KPI-ის მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე. პირველი ინდიკატორის შემთხვევაში, გაცვლითი პროგრამებით შემოსული სტუდენტების რაოდენობა, 7 წლის სამიზნე ნიშნულია აქტიური სტუდენტების 1% საუნივერსიტეტო დონეზე. გაცვლითი პროგრამებით გასული სტუდენტების რაოდენობაში 7 წლის სამიზნე ნიშნულია 2% და მიმდინარე მაჩვენებელი არის 0.96%.

4. (C4) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების ზრდა

სტრატეგიულ მიზანი C4-ზე, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა, პასუხისმგებელი ერთეულებია კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახური, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური და სკოლა.

სტრატეგიული ამოცანის KPI-ს წარმოადგენს სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი (ზოგადი), კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ზოგადი) და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი. ინდიკატორების მონაცემების შეგროვებას უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახური და KPI-ის შეგროვება ხდება პროგრამის დონეზე.

პირველი ინდიკატორის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი (ზოგადი), მიმდინარე მონაცემია 41%, 7 წლის სამიზნე ნიშნულია 50%.

მეორე KPI-ის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ზოგადი), მიმდინარე მაჩვენებელია 80% და 7 წლის სამიზნე ნიშნულს წარმოადგენს 90%.

მესამე ინდიკატორის, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი, მიმდინარე მონაცემია 50% და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია 60%.

5. (C5) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილებაზე მუდმივი ზრუნვა

სტრატეგიული მიზანი C5 ძირითადი შემსრულებელი ერთეულია კურსდამთავრებულთა ურთიერთობის სამსახური და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

სტრატეგიული ამოცანის KPI-ს წარმოადგენს სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი (იგულისხმება უნივერსიტეტის სერვისებით) და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი (უნივერსიტეტის სერვისებით).

KPI -ს შეგროვება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო დონეზე. სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელში მიმდინარე მონაცემია 60% და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია, რომ გამოკითხული სტუდენტების არანაკლებ 70% კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია უნივერსიტეტის სერვისებით. კურსდამთავრებულთა სერვისებით კმაყოფილების მაჩვენებელში 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია, რომ გამოკითხვაში მონაწილე

კურსდამთავრებულთა არანაკლებ 50%-ზე მეტი კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილი კურსდამთავრებულებისთვის შეთავაზებული სერვისებით. ვინაიდან ახალი ინდიკატორია, მხოლოდ სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა მოხდა.

(P) პროცესების ნიშნულის სტრატეგიული ამოცანებია:

1. (P1) კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი P1-ის ძირითადი შემსრულებელი ერთეულია კვლევების ხელშეწყობისა და პროექტების მართვის სამსახური, სკოლები და გამომცემლობა. მოცემული ამოცანის ფარგლებში KPI მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია კვლევის ხელშეწყობისა და პროექტების მართვის სამსახური და გამომცემლობა.

აღნიშნული ამოცანის ინდიკატორებია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თითოეული აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიების რაოდენობა, საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართული აფილირებული პერსონალის წილი, მონოგრაფიებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ხარჯების წილი უსდ-ს ბიუჯეტში, უნივერსიტეტში განხორციელებული საერთაშორისო, სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობა, უსდ-ს ბაზაზე გამოცემული სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა.

პირველი ინდიკატორის შემთხვევაში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის-ს თითოეული აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიების რაოდენობა, მიმდინარე მაჩვენებელია წელიწადში 1 სტატია (აკადემიურ წელს გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის თანაფარდობა აფილირებული პერსონალის რაოდენობასთან) და 7 წლის სამიზნე ნიშნულია წელიწადში არანაკლებ 2 სტატია (აკადემიურ წელს გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის თანაფარდობა აფილირებული პერსონალის რაოდენობასთან) თითოეულ აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე.

მეორე KPI-ში, საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართული აფილირებული პერსონალის რაოდენობა, მიმდინარე მაჩვენებლით არის მთლიანი პერსონალის 1/10 და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია მთლიანი პერსონალის 1/5.

მესამე ინდიკატორში, მონოგრაფიებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე მიმართული ხარჯების წილი უსდ-ს წლიურ ბიუჯეტში, მიმდინარე მონაცემია 3% და 7 წლის სამიზნე ნიშნულია არანაკლებ 5%.

უნივერსიტეტში განხორციელებული საერთაშორისო, სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობის მიმართულებით მიმდინარე მაჩვენებელია წლიური 4 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია არანაკლებ 8. რაც შეეხება უსდ-ს ბაზაზე გამოცემული სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობას, მიმდინარე წლიური მაჩვენებელია 6 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 7.

ამოცანის ფარგლებში KPI მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე.

2. (P2) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი P2-ის შემსრულებელი ძირითადი ერთეულებია სკოლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური. მოცემული ამოცანის ინდიკატორებია:

გარე ექსპერტის შეფასება - გარე ექსპერტის შემთხვევაში მიმდინარე წლიური მაჩვენებელია 2 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია რომ ყველა პროგრამა შეფასდეს გარე ექსპერტის მიერ (პროგრამაზე 3 გარე ექსპერტი).

საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა - საერთაშორისო აკრედიტაციაში მიმდინარე მონაცემია 1 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 5.

სწავლებაში ჩართული საერთაშორისო პერსონალის წილის ზრდა - სწავლებაში ჩართული საერთაშორისო პერსონალის წილის ზრდაში, მიმდინარე სტატისტიკაა 1/20 (უცხოელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიან აკადემიურ პერსონალთან) და 7 წლის სამიზნე ნიშნული არის 1/10.

პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრაქტიკის ადგილების რაოდენობა - მიმდინარე მაჩვენებლის მიხედვით პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრაქტიკის ადგილების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია, პრაქტიკის კომპონენტზე რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობასთან.

ამ კატეგორიაში 7 წლის სამიზნე ნიშნულია პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობა 20%-ით აღემატებოდა პრაქტიკის კომპონენტზე რეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობას.

ორმაგი ხარისხის და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა - ორმაგი ხარისხის და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობაში მიმდინარე მაჩვენებელია - 1 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია - 7.

საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთაშორისო მემორანდუმების რაოდენობის ზრდა - საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთაშორისო მემორანდუმების რაოდენობის ზრდაში მიმდინარე მონაცემებია ყველა პროგრამაზე 1 მემორანდუმი და 7 წლის სამიზნე ნიშნულია ყველა პროგრამაზე 2 მემორანდუმი.

ხსენებული KPI-თა მონაცემები გროვდება მისი შინაარსიდან გამომდინარე საუნივერსიტეტო ან პროგრამის დონეზე. KPI მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია სკოლები, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური, კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

3. (P3) სასწავლო პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი P3 შესრულებას უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახური, სკოლები, აკადემიური წერის ცენტრი და ენების ცენტრი.

მოცემული მიზნის ინდიკატორებად განსაზღვრულია სასწავლო პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი, სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი და პლაგიატის დეტექციის პროგრამის გამოყენების წილი სასწავლო პროცესში.

პირველ KPI -ში, სასწავლო პროცესით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი, მიმდინარე მაჩვენებელია 74.6% და 7 წლის სამიზნე ნიშნული ითვალისწინებს, რომ გამოკითხული სტუდენტების 75% კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სასწავლო პროცესით.

მეორე ინდიკატორში, სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტით სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი, 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია გამოკითხული სტუდენტების 75% კმაყოფილება ან ძალიან კმაყოფილება

სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტით. ვინაიდან ახალი ინდიკატორია, მხოლოდ სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა მოხდა.

მესამე KPI-ში, პლაგიატის დეტექციის პროგრამის გამოყენების წილი სასწავლო პროცესში, მიმდინარე მაჩვენებელია 10% (სასწავლო კურსებში გამოყენების მაჩვენებელი) და 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია არანაკლებ 50%.

P3 ინდიკატორების მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კარიერული განვითარების სამსახური და აკადემიური წერის ცენტრი. KPI -ის შეგროვება მიმდინარეობს სკოლის, პროგრამის და საუნივერსიტეტის დონეზე.

4. (P4) უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება და იმიჯზე მუდმივი ზრუნვა

სტრატეგიული მიზანი P4-ის ძირითადი შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულებია მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, სკოლები და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

აღნიშნული მიზნის ინდიკატორებია:

მედია მონიტორინგისა და ინტერნეტ მონიტორინგის მექანიზმი - მედია მონიტორინგისა და ინტერნეტ მონიტორინგის მექანიზმის KPI-ს 7 წლის სამიზნე ნიშნულის ფარგლებში მექანიზმი შემუშავებული უნდა იყოს

უნივერსიტეტის ვებგვერდზე უნიკალური ვიზიტორების რაოდენობის გაზრდა - უნივერსიტეტის ვებგვერდზე უნიკალური ვიზიტორების რაოდენობის გაზრდის მიმდინარე მაჩვენებელია 110, 000 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 300,000.

საერთაშორისო რანჟირებაში მინიჭებული ადგილი (Webometrics) - საერთაშორისო რანჟირებაში მიმდინარე სტატისტიკით უნივერსიტეტი არის მე-6 ადგილზე და 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია იკავებდეს არანაკლებ მე-5 ადგილს.

უნივერსიტეტის ცნობადობის ინდექსის დადგენა (გამოკითხვა) - უნივერსიტეტის ცნობადობის მხრივ 7 წლის სამიზნე ნიშნულია გამოკითხულთა 80%.

საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა, სადაც უნივერსიტეტი გაწევრიანებული - საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა მიმდინარე მონაცემებით არის 2 და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია 10.

საერთაშორისო პარტნიორებთან არსებული მემორანდუმების ზრდა - საერთაშორისო პარტნიორებთან არსებული მემორანდუმების რაოდენობაში მიმდინარე მაჩვენებელია მოქმედი მემორანდუმების რაოდენობა, 45 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია მოქმედი მემორანდუმების რაოდენობა, 300.

ინდიკატორების მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო დონეზე და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

5. (P5) სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებაზე მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა

სტრატეგიული მიზანი P5 შესრულებას უზრუნველყოფს სტუდენტთა ექსტრაკურსულარული აქტივობების სამსახური და იბსუ აკადემია.

მოცემულ სტრატეგიულ მიზანში მთავარი KPI არის სტუდენტური კლუბების რაოდენობის გაზრდა და სტუდენტური ინიციატივების დაფინანსებაზე მიმართული ხარჯების წილის ზრდა უნივერსიტეტის ბიუჯეტში. პირველ შემთხვევაში მიმდინარე მაჩვენებელი არის 20 და 7 წლის სამიზნე ნიშნულს წარმოადგენს 30. მეორე ინდიკატორის შემთხვევაში კი მიმდინარე მაჩვენებელია 0.30% და 7 წლის სამიზნე ნიშნული 0.50%.

ინდიკატორების მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო დონეზე და აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია ექსტრაკურსულარული აქტივობების სამსახური და იბსუ აკადემია.

6. (P6) უნივერსიტეტის მესამე მისიის შესაბამისად პროგრამების/აქტივობების შემუშავება-განხორციელება

სტრატეგიული მიზანი P6 შემსრულებელი ერთეულია სკოლები და მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტი.

ამოცანის ძირითადი ინდიკატორებია მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) რაოდენობა, რომელიც ფარავს ღონისძიებების თემატიკას, მიმდინარე წლიური მაჩვენებელია - 1 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია - 5.

მესამე მისიასთან დაკავშირებულ აქტივობებზე გაწეული ხარჯების წილის ზრდა უნივერსიტეტის ბიუჯეტში. მიმდინარე მაჩვენებელი ახალია და ხდებოდა დათვლა. 7 წლის სამიზნე ნიშნულია 0.10%.

CSR პროექტების რაოდენობა, CSR პროექტების რაოდენობაში მიმდინარე წლიური მონაცემია - 10 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია - 20.

უწყვეტი განათლების აქტივობების წლიური რაოდენობა, მიმდინარე მაჩვენებელია - 2 და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია - 12.

KPI მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების სამსახური.

7. (P7) ორგანიზაციული მართვის მიდგომების გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი P7 შემსრულებელი ერთეულია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მთავარი ინდიკატორებია: დასაქმებული აკადემიური პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი, დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელი და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მაჩვენებელი - შეფასების სისტემა.

დასაქმებული აკადემიური პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელში 7 წლის სამიზნე ნიშნულია 90%, მიმდინარე მაჩვენებელთან მიმართებაში მონაცემების დათვას არ ჰქონდა ადგილი. დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების მაჩვენებელში 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია 90%, მიმდინარე მაჩვენებელთან დაკავშირებით უნივერსიტეტი არ აწარმოებდა დათვლას. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მაჩვენებელში 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია 80% ან მეტი, ვინაიდან ახალი ნიშნულია მიმდინარე მაჩვენებელთან დაკავშირებით მაჩვენებელი არ არის

ინდიკატორების მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო დონეზე და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური და სტრატეგიული განვითარების სამსახური.

8. (P8) საუნივერსიტეტო სტარტაპ-ეკოსისტემის განვითარება

მიზანი P8 შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულია ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრი.

მოცემული სტრატეგიული მიზნის ინდიკატორებია უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერილი სტარტაპიდების რაოდენობა, უნივერსიტეტთან აფილირებული დაფინანსებული სტარტაპების რაოდენობა, სტუდენტების საერთო სამუშაო სივრცის რაოდენობის გაზრდა და უნივერსიტეტთან აფილირებული სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციის მოცულობა.

უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერილი სტარტაპიდების რაოდენობაში 7 წლის სამიზნე ნიშნულად მიჩნეულია - 20. ახალი ნიშნულია, რომელთა მიმართებაშიც მიმდინარე მაჩვენებელი არ არის დათვლილი. უნივერსიტეტთან აფილირებული დაფინანსებული სტარტაპების რაოდენობაში 7 წლის სამიზნე ნიშნულია - 5, მიმდინარე სტატისტიკა არ არის, ვინაიდან სიახლეა უნივერსიტეტისთვის. სტუდენტების საერთო სამუშაო სივრცის რაოდენობის გაზრდაში მიმდინარე მაჩვენებელია - 1 და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია - 4. უნივერსიტეტთან აფილირებული სტარტაპების მიერ მოზიდული ინვესტიციის მოცულობაში 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია - \$50,000, მიმდინარე მაჩვენებელი არ არის მოცემული, ვინაიდან სიახლეა.

KPI მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო დონეზე და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია ინოვაციების და მეწარმეობის ცენტრი.

9. (P9) პროცესების მართვის ელექტრონული სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ეფექტიანობის გაზრდა

სტრატეგიული მიზნის შემსრულებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური და მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

მოცემული სტრატეგიული მიზნის ინდიკატორებია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის იმპლემენტაცია და უსდ-ის ელექტრონული მართვის სისტემის შექმნა (სასწავლო, ადმინისტრაციული, ხარისხის მართვის, სამეცნიერო და HR პლატფორმა).

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა და IBSU-ს ელექტრონული მართვის სისტემა არ არსებობს და 7 წლის სამიზნე ნიშნულია სრული იმპლემენტირებულია.

ინდიკატორების მონაცემების შეგროვება მიმდინარეობს საუნივერსიტეტო დონეზე და ამ პროცესზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

(R) რესურსების ნიშნულის ამოცანები

1. (R1) ადამიანური კაპიტალის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი R1 შემსრულებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულია სკოლები და ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური. მოცემული ამოცანის ინდიკატორებია:

სწავლებაში ჩართული პერსონალის სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობის შენარჩუნება - მიმდინარე მაჩვენებელია 1/7 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია შენარჩუნებული 1/7.

აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი - მიმდინარე მაჩვენებელია 84%, და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 85%.

გაცვლით პროგრამებში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხვედრითი წილი - მიმდინარე მაჩვენებელია 5 % და 7 წლის სამიზნე ნიშნულში ასევე გათვალისწინებულია 5%-იანი ნიშნულის შენარჩუნება.

აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის სწავლებაში ჩართული პერსონალის რაოდენობასთან თანაფარდობის შენარჩუნება მიმდინარე მაჩვენებელია 1/4 რომლის შენარჩუნებაა 7 წლის სამიზნე ნიშნული, იგივე 1/4 - თან.

სწავლებაში ჩართული უცხოელი პერსონალის წილი სწავლებაში ჩართული პერსონალის საერთო რაოდენობაში, მიმდინარე მაჩვენებელია 2% და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 5%.

დაგეგმილ განმავითარებელ ღონისძიებაში ჩართული აკადემიური პერსონალის წილი, 7 წლის სამიზნე ნიშნულია 60%, მიმდინარე მაჩვენებელი არ არის დათვლილი ვინაიდან ახალი ინდიკატორია.

დაგეგმილ განმავითარებელ ღონისძიებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის წილი 7 წლის სამიზნე ნიშნულია 60%, მიმდინარე მაჩვენებელი არ არის დათვლილი ვინაიდან ახალი ინდიკატორია.

ადმინისტრაციული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი - მიმდინარე მაჩვენებელია 63% და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 80%.

KPI მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე და ამ პროცესზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური.

2. (R2) საბიბლიოთეკო რესურსის შეძენა/განვითარება

სტრატეგიული მიზანი R2 - ის ძირითადი შემსრულებელი ერთეულია ბიბლიოთეკა. სტრატეგიული ამოცანის KPI არის ბიბლიოთეკის სამეცნიერო - ელექტრონული ბაზების რაოდენობა და წიგნადი ფონდის განვითარებაზე მიმართული ხარჯების წილის გაზრდა უსდ-ს ბიუჯეტში.

ბიბლიოთეკის სამეცნიერო - ელექტრონული ბაზების რაოდენობაში მიმდინარე მაჩვენებელია 3 და 7 წლის სამიზნე ნიშნულია 5. რაც შეეხება წიგნადი ფონდის განვითარებაზე მიმართული ხარჯების წილის გაზრდას უსდ-ს ბიუჯეტში მიმდინარე მაჩვენებელია 0.50% და 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია ბიუჯეტის შემოსავლების არანაკლებ 1%.

ინდიკატორების მონაცემების შეგროვება ხდება უნივერსიტეტის დონეზე და ამ პროცესზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკა.

(R3) საგანმანათლებლო და/ან კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო რესურსების შეძენა/განვითარება

სტრატეგიული მიზანი R3 ძირითადი შემსრულებელი ერთეულია სკოლები და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. აღნიშნული ამოცანის ინდიკატორებია ლაბორატორიების რაოდენობა და კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა კომპიუტერულ კლასებში. KPI მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელია სკოლები და ინფორმაციების ტექნოლოგიების სამსახური.

ლაბორატორიების რაოდენობაში მიმდინარე მაჩვენებელია - 13 და 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია 20 ლაბორატორია. კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობასთან მიმართებით კომპიუტერულ კლასებში მიმდინარე მონაცემია - 175 და 7 წლის სამიზნე ნიშნულში მოაზრებულია - 325.

3. (R4) საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარება

სტრატეგიული მიზანი R4-ის შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულია შესყიდვებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტი და ფინანსური დეპარტამენტი.

მოცემული მიზნის ინდიკატორია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფრასტრუქტურით კმაყოფილების მაჩვენებელი, კაფეტერიის მოწყობა და სტუდენტური სივრცეების მოწყობა.

KPI მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის და შესყიდვების და ლოგისტიკის დეპარტამენტის მიერ.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელში მიმდინარე მონაცემია 49.80% ა 7 წლის სამიზნე ნიშნულია 70%.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფრასტრუქტურით კმაყოფილების მაჩვენებელში მიმდინარე სტატისტიკაა 57% და 7 წლის სამიზნე ნიშნულში გათვალისწინებულია 70%.

კაფეტერიასთან დაკავშირებით 7 წლის სამიზნე ნიშნულია კაფეტერიის მოწყობა და გამართულად ფუნქციონირება.

სტუდენტური გარე და შიდა სივრცეების მოწყობაში მიმდინარე მონაცემია - 3 სტუდენტური სივრცე და 7 წლის სამიზნე ნიშნულია - 7 სტუდენტური სივრცე.

(F) ფინანსური ნიშნულის ამოცანები

1. (F1) ფინანსური მდგრადობა

სტრატეგიული მიზანი F1 ძირითადი შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულია ფინანსური დეპარტამენტი.

ამოცანის ინდიკატორია საოპერაციო მოგების მარჟა და წმინდა მოგების მარჟა . მონაცემის შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე და ამ პროცესზე პასუხისმგებელია ფინანსური დეპარტამენტი

საოპერაციო მოგების მარჟა - მიმდინარე მაჩვენებელი 10% და 7 წლის სამიზნე ნიშნული არანაკლებ 30%.

წმინდა მოგების მარჟა - მიმდინარე მაჩვენებელი 7% და 7 წლის სამიზნე ნიშნული არანაკლებ 15%.

2. (F2) შემოსავლის ზრდა

მოცემული სტრატეგიული მიზნის შემსრულებელი ერთეულია ფინანსური დეპარტამენტი. ამოცანის KPI-ს წარმოადგენს შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი. KPI მონაცემების შეგროვება ხდება საუნივერსიტეტო დონეზე ფინანსური სამსახურის მიერ.

შემოსავლების ზრდის მაჩვენებელი - მიმდინარე მაჩვენებელი 15% (გასული 5 წლის საშუალო მაჩვენებელი) და 7 წლის განმავლობაში ყოველწლიური სამიზნე ნიშნული არანაკლებ 15%.

(F3) შემოსავლის დივერსიფიკაცია

სტრატეგიული მიზანი F3 ძირითადი შემსრულებელი ერთეულია ფინანსური დეპარტამენტი. ამოცანის ინდიკატორია უცხოელი (არარეზიდენტი) სტუდენტებისგან მიღებული შემოსავალი და ორმაგი პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი. KPI მონაცემების შეგროვება ხდება უნივერსიტეტის დონეზე ფინანსური სამსახურის მიერ.

უცხოელი (არარეზიდენტი) სტუდენტებისგან მიღებული შემოსავალი - მიმდინარე მაჩვენებელი 8,5% (უცხოელი სტუდენტების შემოსავალი ჯამურ შემოსავალში) და 7 წლის სამიზნე ნიშნული - 45%.

ორმაგი პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი - მიმდინარე მაჩვენებელი 0,5% და 7 წლის სამიზნე ნიშნული არანაკლებ 5%.